2023 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

2023 წლის სამოქმედო გეგმა აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა წლის დასაწყისში. განისაზღვრა მთელი წლის ჭრილში განსახორციელებელი ამოცანები, პასუხისმგებელი, შემსრულებელი პირები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), რესურსები და ინდიკატორები. თითოეული ამოცანა გადანაწილდა თვეებზე, ასევე გაიწერა ბათუმში არსებული თეგეტა აკადემიის რეორგანიზაციის საკითხი.

2023 წლის მაისის თვეში თეგეტა აკადემიაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის საფუძველზე ჩაინიშნა გეგმიური მონიტორინგი, რომელიც გაგრძელდა სამი დღის მანძლზე. მონიტორინგის პერიოდში დაწესებულება შემოწმდა ავტორიზაციის ხუთი სტანდარტის შესაბამისად. გამოთხოვილ იქნა ყველა სახის დოკუმენტაცია, რომლის შედეგადაც გაიცა რეკომენდაციები. ერთ-ერთი საკითხი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს შეეხებოდა. სწორედ აღნიშნული ფაქტორი გახდა მიზეზი აკადემიას ცვლილებები განეხორციელებინა პირველ ეტაპზე სტრატეგიულ გეგმაში, ხოლო სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მიმდინარე სამოქმედო გეგმაშიც.

2023 წლის მარტში სრულად შეიცვალა აკადემიის სტრუქტურა, განახლა პერსონალი, ზოგიერთ შემთხვევაში შეიცვალა პოზიციის დასახელებები, აღნიშნულზე დამატებითი გავლენა იქონია ბათუმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამაც. იქიდან გამომდინარე, რომ უხვი ცვლილებების ასახვა უნდა მომხდარიყო მცირე დროში, მოხდა ფუნქციების ზედაპირულად გადანაწილება. ამას დაემატა მცირე კონტიგენტი და ბევრი აქტიური პროცესი. შესაბამისად, საჭირო იყო დეტალურად გაწერილიყო ყველა ამოცანა, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირი, ამოცანისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები, ამოცანის შესრულებისთვის საჭირო მტკიცებულება/აქტივობები და ინდიკატორები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2023 წლის აგვისტოს დასაწყისიდან იმართებოდა არაფორმალური შეხვედრები მიზნებისა და ამოცანების გასაზიარებლად, სექტემბრის დასაწყისში დამტკიცდა განახებული სტრუქტურა, რის შემდგომაც აქტიური პროცესი დაიწყო ორი დოკუმენტის შექმნისა და თანხვედრაში მოყვანის მიზნით.

აკადემიის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად შეიტანა ცვლილებები განახლებულ გეგმებში, გაითვალისწინა პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, შესაძლებლობები, საჭირო კომპეტენცია.

სტრატეგიულ გეგმის გადახედვისას აღმოჩნდა, რომ მასში არ იყო ასახული რიგი ამოცანებისა, ვინაიდან ბოლო დროის აკადემია სრულიად განსხვავებულია წინა წლებთან შედარებით, მეტად აქტიური პროცესები მიმდინარეობს და ბევრად მეტი პროექტია დაგეგმილი ვიდრე ეს აქამდე იყო განსაზღვრული. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ შევიდა ცვლილებები და მაქსიმალურად გაიწერა ყველა აქტივობა-ამოცანა დროში, შესაბამისი პირების მითითებით. ექსპერტების ერთ-ერთი მიგნება იყო, რომ ორივე დოკუმენტი ყოფილიყო თანხვედრაში, სწორედ ამიტომ სამოქმედო გეგმას დაემატა კონკრეტული პუნქტები და შევიდა ცვლილებები შესასრულებელი ამოცანების შესაბამისად, წინა გეგმისგან განსხვავებით, განახლებულ სამოქმედო გეგმაში გაიწერა ამოცანის შესასრულებად საჭირო რესურსები, ასევე სხვა ჩართულ მხარეებად განისაზღვრა აკადემიის გარეშე პირები. ზოგიერთ შემთხვევაში კი ამოცანების დამატებიდან

გამომდინარე, შეიცვალა განხორციელების პერიოდიც კი. თუმცა აღნიშნული ცვლილებებით ნათელი გახდა ყველა ის აქტივობა, ყველა საქმიანობა, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობა რაც კი აკადემიაში ხორციელდება. განისაზღვრა ვალდებულებები და გადანაწილდა თითოეულ ამოცანაზე პასუხისმგებლობები.

სამოქმედო გეგმის საბოლოო, წლიური ანგარიშისთვის, შემაჯამებელი შედეგების გამოსაკვეთად, აუცილებელია თითოეული ამოცანის განხილვა, თუ რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა, შეუსრულებლობის შემთხვევაში რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი და რა შედეგზე გავიდა აკადემია წლის ბოლოს.

1.1. თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება

აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება წარმოადგენს აკადემიის დირექტორის უშუალო პასუხისმგებლობას. თუმცა აღნიშნული მიმართულების განვითარებაში თავის მხრივ აუცილებლად უნდა ჩაერთოს იურუსტი და საქმის წარმოების სპეციალისტი. როგორც სხვა, ისე ეს პროცესი ჯაჭვური ხასიათისაა და ერთმანეთის დამოუკიდებად არ ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე პერმანენტულად ხორციელდებოდა შიდა მარეგულირებელი აქტების შექმნა და პერიოდულად, კანონდმებლობასთან შესაბამისი ცვლილებების შეტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ახალი რეგულაცია აკადემიის დოკუმენტებში აისახა და პროცესები წარიმართა შესაბამის კანონმდებლობასთან მაქსიმალურ თანხვედრაში.

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და შეთანხმებულია, შეესაბამება აკადემიის მიზნებსა და მისწრაფებებს და ნათლად აღწერს თუ რას ემსახურება დაწესებულების საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია, მოქმედებს და აკადემიის ვებგვერდზე დოკუმენტის მეშვეობით არის ატვირთული ველზე - „ჩვენ შესახებ", ასევე განთავსებულია უშუალოდ აკადემიის სივრცეში, ყველასათვის საყურადღებო ადგილას.

1.2. საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება

საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების სპეციალისტი. აღნიშნულ პროცესთან დაკავშრებით აკადემიაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, სადაც განსაზღვრულია საქმისწარმოების მიმდინარეობა.

პროცესების უწყვეტად შესრულებისთვის საჭირო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად E-Flow-ს სისტემის მეშვეობით, რომლისთვისაც აკადემიის ბიუჯეტიდან გამოყოფილია კონკრეტული თანხა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს შეიქმნა პროგრამა ელექტრონულ შტამპთან დაკავშირებით. კონკრეტული დროის შემდეგ შეფერხებით მუშაობდა სისტემა, საქმისწარმოების სპეციალისტმა არაერთხელ სცადა დაკავშირება და ხარვეზის აღმოხვრა. პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა რეალური პასუხის მიღება, შემდეგ მოპასუხე მხარე სისტემის მეშვეობით ცდილობდა ხელმოწერის აღდგენას, თუმცა რამდენიმე დღეში, სხვა საკონტაქტო პირის მეშვეობით დადგა შტამპზე უფლების აღდგენის საჭიროება, რისთვისაც საჭრო გახდა სამართლებრივი პროცედურები თბილისის იუსტიციის სახლთან. ადმინისტრაციული ვადებიდან გამომდინარე განისაზღვრა კონკრეტული დრო ხარვეზის გამოსასწორებად. ამ დროის მანძილზე კი ფიზიკურად შეუძლებელი იყო ელექტრონულად

ბრძანების დამტკიცება და გამოცემა, შესაბამისად, სამუშაო პროცესის უხარვეზოდ გაგრძელებისთვის, საჭირო გახდა ალტერნატიული გზის მოძებნა და მატერიალური გზით ბრძანებების დამტკიცება. მიუხედავად ამისა, საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ ხდებოდა ყოველი დოკუმენტის შესაბამისი წესით შენახვა და აღრიცხვა. გარდა ბრძანებებისა, აკადემიაში გარკვეული პერიოდის მანძილზე არ ხდებოდა დოკუმენტაციის ჟურნალში გადატანა, ვინაიდან შესაბამისობის გეგმის ერთ-ერთი საკითხი შეეხებოდა სწორედ დოკუმენტაციის საქმისწარმოების წესის შესაბამისად აღრიცხვას, საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ, მონიტორინგის შემდეგ აღიწერა აკადემიაში არსებული ხელშეკრულებები, რომელსაც მიენიჭა შესაბამისი ინდექსი, ბრძანებები, განცხადებები, ცნობები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აკადემიაში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა, რაც გამოიხატება მოთხოვნილი დოკუმენტის დროულად მიღებაში, შესაბამისი პასუხის მომზადებასა და უწყვეტ რეჟიმში მუშაობაში.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიმდინარეობს დემინგისეული ციკლის შესაბამისად. აქტივობები იგეგმება, ხორციელდება, პერიოდულად გადაიხედება და შემდეგ ხდება შეფასება. თვითშეფასების დოკუმენტისთვის წლის მანძილზე გროვდება და იწერება მტკიცებულებები ყოველი აქტივობის შესახებ.

2023 წელს ცვლილება შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტში, ასევე შეიცვალა თანამშრომელი, ჩატარდა სხვადასხვა სახის კვლევა და გატარდა კვლევაში გამოკვეთილი საჭირო ღონისძიებები. წლის მანძილზე შეგროვდა საჭირო დოკუმენტაცია თვითშეფასებისთვის, რაც აუცილებელი პირობაა დოკუმენტის გამართულობისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სტუდენტები, მათი შეხედულებები, კმაყოფილება და აკადემიის მხრიდან მათი მხარდაჭერის საკითხი და ა.შ. იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო პროფესიული სტუდენტების მოსაზრებები, მოთხოვნები თუ საჭიროებები, სამოქმედო გეგმით განისაზღვრა კვლევის ჩატარება. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ აქტიურად ჩატარდა კვლევა, რომელიც განხორციელდა ელექტრონულად, კვლევის შედეგების საფუძველზე კი დაიწერა ანგარიში, რომელიც წარედგინა როგორც აკადემიის დირექტორს, ისე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს. აღსანიშნავია, რომ აკადემიაში თითოეული სტუდენტის პასუხის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რისი მაგალითიც არის გამოკითხვაში დაფიქსირებული მოთხოვნების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება, მინიმუმ რეაგირება თითოეულ მათგანზე.

კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდა წლის დასაწყისშივე, კარიერის მართვის მენეჯერის მიერ, სატელეფონო ზარების მეშვეობით. შესაბამისად დაიწერა შესაბამისი ანგარიშიც. იქიდან გამომდინარე, რომ 2021 წლის შემდეგ აკადემიას კურსდამთავრებული ჯერჯერობით არ ჰყოლია, მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული ერთსა და იმავე ადამიანებთან წელიწადში რამდენჯერმე ჩატარებულიყო ერთი და იგივე კვლევა. მომავალი წლისთვის აკადემიას ეყოლება ორი პროგრამის ფარგებში კუურსდამთავრებულები, რომლეთანაც აქტიურ რეჟიმში განხორციელდება ამ და სხვა სახის კვლევების ჩატარება,

გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა, 2023 წლის მაისის თვეში, თეგეტა აკადემიამ გამოაცხადა მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ძრავის შეკეთება“. ვინაიდან რეგისტრაცია მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, განათლების მართვის სისტემაში vet.emis.ge, მნიშვნელოვანი იყო დაფიქსირებულიყო და დეტალურად აღწერილიყო მთელი პროცესი. ამისათვის შერჩევის პროცესის ადმინისტრატორის ფუნქციები შეითავსა აკადემიის რეესტზე პასუხისმგებელმა პირმა. რეგისტრაციის დაწყებიდან მუდმივად ხდებოდა სტატისტიკური ანალიზის გაკეთება თუ რამდენი აპლიკანტი იყო რეგისტრირებული, რამდენმა გამოხატა სურვილი პირველ ადგილზე თეგეტა აკადემია მოენიშნა და სხვა. ანგარიშში აღინიშნა რეგისტრაციის დაწყების დღიდან სწავლის დაწყებამდე პროცესები, რაც მოიცავდა უშუალოდ რეგისტრაციას, შეფასების საკითხს, გამოცხადებული აპლიკანტების რაოდენობას, ჩარიცხვის სტატისტიკას, სტატუსის მინიჭებას და სხვა დეტალებს. ანგარიში დაიწერა 2023 წლის ნოემბრის თვეში, როდესაც დასრულდა ყველანაირი პროცესი და დაიწყო სასწავლო წელი. დოკუმენტი წარედგინა აკადემიის დირექტორს გასაცნობად.

ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველსაყოფად განისაზღვრა კონკრეტული პერიოდი, შეირჩა საჭირო მასალები და დაიგეგმა მთელი პროცესი. შეფასების ინსტრუმენტის, მტკიცებულებებისა და პროცესის შესაფასებლად შერჩევითი მეთოდი იქნა გამოყენებული, რის საფუძველზეც მომავალი მიღებისთვის აღმოიფხვრებოდა ზოგიერთი საკითხი. პროცესის დასრულების შემდეგ დაიწერა ანგარიში.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ცვლილება შევიდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. შესაბამისად, ანგარიშის წერისას შევხვდებით ბევრ სხვადასხვა საინტერესო და სამოტივაციო აქტივობას. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შეიქმნა სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები. შუალედური შეფასება ემსახურებოდა მოკვლევას, თუ სად ვართ, ხორციელდება თუ არა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები, მივყვებით თუ არა მიზნებს და ამოცანებს სწორად, გვაქვს თუ არა ხელისშემშლელი გარემოები და ა.შ. აკადემიის დირექტორს სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში წარედგინა 2023 წლის 14 ივლისს, ხოლო საბოლოო ანგარიში დასრულდება წლის ბოლომდე და ასევე წარედგინება დირექტორს.

1.4. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება

აკადემიაში გამართულად ფუნქციონირებს IT მხარდაჭერის სისტემა, რაც გულისხმობს სპეციალისტების მხრიდან აკადემიის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მუდმივ მხარდაჭერას. მათი მხრიდან სრულად დაცულია პერსონალური მონაცემები, გამართულია ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენებადი საჭირო ტექნიკა, ნებისმიერი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ხდება მათი მხრიდან დახმარების აღმოჩენა. განსაკუთრებული მხარდაჭერა იყო საჭირო 2023 წლის მიღების პროცესში. მოტივაციური გასაუბრების დროს vet.emis.ge-ს პლატფორმის მეშვეობით სავალდებულოდ შესაფასებელია აპლიკანტი ელექტრონულად, კომისიის თითოეული წევრის მიერ იმავე დღეს, რადგან სისტემა მეორე დღეს ქულის ასახვის საშუალებას არ იძლევა. შესაბამისად, ტექნიკა უნდა მუშაობდეს უხარვეზოდ, იყოს უწყვეტი ინერნეტი და ხელშეწყობა IT სპეციალისტის მხრიდან. აქედან გამომდინარე, მთელი პერიოდის მანძილზე სპეციალისტი იმყოფებოდა ადგილზე და უზრუნველყოფდა პროცესის უხარვეზოდ ჩატარებას.

თამამად შეიძება ითქვას, რომ IT სისტემა სრულად დაცულია და გამართულია აკადემიაში.

1.6. მარკეტინგული ღონისძებების განხორციელება

მარკეტინგული ღონისძებები არის ის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უმაღლეს დონეზე უნდა იყოს გამართული დაწესებულებაში. თუ გადავხედავთ წინა წლების მაგალითებს, შეიძლება ვთქვათ რომ სწორედ მარკეტინგულმა ღონისძიებებმა ითამაშა დიდი როლი პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში, რომ არ ვისაუბროთ იმ სწორ და თანამედროვე მიდგომებზე, რომელიც ბოლო დროს განხორციელდა. ამისათვის კი მნიშნელოვანია აქტიურ რეჟიმში მუშაობდეს დაწესებულების ვებგვერდი, სოციალური ქსელი, იწერებოდეს სტატიები და ვრცელდებოდეს ვიდეორგოლები.

2023 წელი აკადემიაში მარკეტინგული ღონისძიებების მხრივ ერთ-ერთი აქტიური წელი იყო. აკადემიის ვებგვერდზე განთავსდა უახლესი ინფორმაციები, სიახლეების ველს დაემატა მაქსიმალურად ყველა ნიუსი, შესაბამისი თარიღის მითითებით, განთავსდა პროფესიული სტუდეტების შესახებ მოკლე ინტერვიუები და წარმატების ისტორიები. ვებ გვერდს დაემატა განახლებული დოკუმენტაცია, ასევე განახლდა ველი „ჩვენს შესახებ", სადაც შეიცვალა თანამშრომელთა ფოტოები და პოზიციები. თვალსაჩინო ადგილას არის წარმოდგენილი ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ, მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

აკადემიის ვებგვერდი ნამდვილად ასრულებს საინფორმაციო ხასიათს. დაინტერესებული პირი იღებს სრულ ინფორმაციას დაწესებულებაზე. გარდა ამისა, აკადემია სხვადასხვა სოციალურ ქსელში იჩენს თავს აქტიურობით. ამის მაგალითია Facebook, Instagram, LinkedIn, TikTok, სადაც ხშირად შეხვდებით ინფორმაციას აკადემიის, მისი პროგრამებისა და თუ უპირატესობების შესახებ. განსაკუთრებით დიდი აქტივობა ეხება Facebook-ს, რადგან დაინტერესებული პირების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კითხვა-პასუხის რეჟიმს, აკადემია კი უზრუნველყოფს უმოკლეს ვადებში შესაბამისი ინფორმაციის გაცემას. მნიშვნელოვანი როლი იქონია რეგისტრაციის პროცესში სოციალურმა ქსელებმა, როდესაც ხდებოდა როგორც ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება, ისე უშუალოდ რეგისტრაციის პროცესში დახმარებაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტი გამოხმაურება სწორედ სოციალურ ქსელებში განთავსებულ ინფორმაციაზე მოდიოდა წლის მანძილზე.

გარდა ამისა, აკადემიამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში მაშინ, როდესაც ამ წლის შემოდგომაზე მიიღო შემოთავაზება და ჩაერთო პროექტში „იპოვე შენი პროფესია". პროექტის ფარგლებშიც გადაღებულ იქნა დოკუ-ფიქციის ჟანრის სამი ფილმი - თითოეული, არანაკლებ 20 წუთიანი. შეთანხმებისამებრ, ფილმი ჩაეშვებოდა ტელეკომპანიებსა (ჯამში 19 ტელევიზია) და რადიოებში (ფილმის აუდიო ვერსია - 4 რადიო), რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა როგორც ქვეყნის, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი ადამიანიებისთვის. ფილმი ასევე გავრეცლებოდა სოციალურ ქსელებში. პროექტის ფარგლებში გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება შპს „ბიო ინტერნაციონალი პლიუსთან", პროექტის ღირებულება შეადგენდა 22 000 ლარს. ხელშეკრულების მეორე მხარეს კი წარმოადგენდა ყველასთვის ნაცნობი ოლგა ბაბლუანი. თეგეტა ჰოლდინგმა გამოყო შესაბამისი თანხა. პროექტის ფარგლებში ფილმში წარმოდგენილი იყო თეგეტა აკადემიის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროცესი, სამუშაო სივრცეები და სხვა.

პროექტი წარმატებით დასრულდა და გადაღებული ფილმი გავრცელდა შეთანხმებისამებრ როგორც ტელევიზიებსა და რადიოებში, ისე სოციალურ ქსელებში, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

გარდა აღნიშნული პროექტისა, აკადემია წლის მანძილზე უზრუნველყოფდა შესაბამისი თანხის გამოყოფას სხვადასხვა მედია სააგენტოებისა და ტელევიზიებისთვის. აქტიურად თანამშრომლობდა ტელეკომპანია "BMG"-სთან, რომელმაც არა ერთხელ გააშუქა აკადემიის პროექტები, დაიწერა არაერთი სტატია, გავრცელდა ვიდეო რგოლები და ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხად ჰყოფს აკადემიის წარმატებულ მუშაობას, როგორც დაწესებულების, ისე პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის.

1.7. საწარმოს სტატუსის მოპოვება

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის N451 დადგენილების შესაბამისად, სავალდებულო გახდა 2024 წლის 1 იანვრიდან სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვება იმ კომპანიებისთვს, რომლების ჩართულები არიან სწავლებაში. იქიდან გამომდინარე, რომ „თეგეტა აკადემია" „თეგეტა რითეილთან" თანამშრომლობით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" დუალური ფორმით, აუცილებელი იყო პარტნიორ კომპანიას მოეპოვებინა ზემოაღნიშნული სტატუსი დროულად, რათა უხარვეზოდ განხორციელებულიყო დუალური პროგრამა როგორც მიმდინარედ, ისე სამომვალოდ.

საწყის ეტაპზე აკადემიის მხრიდან გადაიდგა პირველი ნაბიჯები. საინფორმაციო სახის წერილი გაიგზავნა პარტნიორი კომპანიის მენეჯმენტთან, რომლითაც ეცნობათ, რომ სავალდებულო იყო სტატუსის მოპოვება 2023 წელს. უკუკავშირი იყო, რა თქმა უნდა, დადებითი. გარდა პარტნიორი კომპანიისა, აკადემიას ჰქონდა კომუნიკაცია პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რომელიც გამოთქვამდა მზაობას გაეწია შესაბამისი რეკომენდაციები.

აკადემიის მხრიდან თითოეულ მხარესთან მოლაპარაკებების შემდეგ დაორგანიზდა გაერთიანებული შეხვედრა აკადემიის სივრცეში, სადაც შეიკრიბა როგორც აკადემიის, პარტნიორი კომპანიის, ისე პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები. შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ დაინიცირებული იყო დადგენილებით განსაზღვრული დროის გადაწევა, ვინაიდან არ იყო მზად შემუშავებული ყველა ის ასპექტი, რომლის გათვალისწინებითაც მომზადდებოდა განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გამოთქვამდა სრულ მზადყოფნას, გაეტარებინა ყველა ღონისძიება და წარედგინა შესაამისი მტკიცებლებები, უნარების სააგენტოს წარმომადგენლების მხრიდან პროცესი გადაიდო დროებით და განაცხადეს, რომ მოგვაწოდებნენ ინფორმაციას განაცხადის გაკეთებისთვის შესაბამისი დროის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დასახული მიზანი/ამოცანა საწარმოს სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით 2023 წელს ვერ შესრულდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ აკადემიის მხრიდან გადაიდგა ყველა საჭირო ქმედება სტატუსის მოსაპოვებლად. ამოცანის შესრულებამ კი გადაინაცვლა 2024 წელს.

1.8. შესაბამისობის გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულება

თეგეტა აკადემიაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2023 წლის 17-18-19 მაისს ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი, რომლის დროსაც აკადემია შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, გამოიკვეთა დადებითი და უარყოფითი მხარეები, რიგ შემთხვევაში საჭირო გახდა აკადემიის მხრიდან ექვსთვიანი შესაბამისობის წარდგენა. აკადემიამ შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც თითოეული ხარვეზისთვის განსაზღვრა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა (დაწყება-დასრულების თარიღები), პასუხისმგებელი პირები, შემსრულებელი თუ ჩართული მხარეები, გარდა დაწესებულებისა. დაფინანსების წყარო, საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსი, შესრულების ინდიკაროტი და დადასტურების წყარო.

შესაბამისობის გეგმით გაწერილ თარიღებში შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი დოკუმენტები: დაკორექტირდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, დაიწერა სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები, შემუშავდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, განახდა აკადემიის სტრუქტურა და დებულება, აკადემიამ შეიმუშავა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეიქმნა შტაბი და შეათანხმა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურასთან. აკადემიაში დასაქმებული პირების მხრიდან წარმოდგენილ იქნა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან კი აღიწერა შიდა დოკუმენტები საქმისწარმოების წესის შესაბამისად. ჩატარდა პერსონალის საჭიროებების კვლევა და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, თანამშრომლებისთვის აკადემიამ უზრუნველყო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე დასწრება, შევიდა ცვლილება პერსონალის მართვის პოლიტიკაში, განახლდა პროგრამების კატალოგი, აკადემიის ვებგვერდზე განთავსდა სიახლეები, შევიდა ცვლილება ფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით აკადემიის შიდა მარეგულირებელ წესში, ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების ინსტურქტაჟი, მოდულებში აისახა დამატებითი, საჭირო ლიტერატურა და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ აკადემიამ მოცემულ დროში გაატარა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება და წარადგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია.

2.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავება

აღნიშნული ამოცანისთვის განისაზღვრა ქვე-პუნქტები, რომელიც შეეხება სხვადასხვა საკითხს. ერთ-ერთი ქვე-პუნქტია კონტგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულ წესში საჭირო გახდა ცვლილების შეტანა იმ მიზეზით, რომ გაუქმდა ბათუმის კვოტა, წესში კი გათვალისწინებული იყო, ბათუმის მისამართზე როგორც ფართი და პროფესიული მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების რაოდენობა, ისე მისაღები სტუდენტების ოდენობა თითოეულ პროგრამაზე ცალ-ცალკე. ვინაიდან, აკადემიის მოთხოვნით, ბათუმის მისამართზე გაუქმდა ავტორიზაცია სამივე პროგრამაზე, საჭირო გახდა ცვლილებების ასახვა. შესაბამისად, შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა განახლებული სახით კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

თეგეტა აკადემია სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსით სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიაში ხელმისაწვდომია ყველა საჭირო რესურსი, აღნიშნულის შესახებ ჩატარებულია კვლევა როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ისე მასწავლებლებთან. აკადემიას გააჩნია დამადასტურებელი დოკუმენტაცია მატერიალური რესურსის ფლობის და განსაზღვრული აქვს შესაბამისი ჩამონათვალი.

წლის მანძილზე, აკადემიის ისტორიაში პირველად, განხორციელდა ორი ავტორიზებული პროგრამა ერთობლივად. წარმატებით შესრულდა სასწავლო პროცესი, შედგა სასწავლო ცხრილები და შესაბამისი კალენდარული გეგმები, სასწავლო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს გაწერილი ცხრილების შესაბამისად,

2.2. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება

სასწავლო პროცესი ის მთავარი გამოწვევაა, რომლის წარმატებით შესრულება თითოეული დასაქმებული პირის მიზანია. საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარ მიზანს სწორედ ხარისხიანი სწავლება და ცოდნის გაცემა წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროფესის სწორი მართვა და ადმინისტრირება. 2023 წლის სექტემბერში, ავტორიზებული პროგრამების ხელმძღვანელად განისაზღვრა შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპეტენტური პიროვნება, რომლისთვისაც კარგად ნაცნობია არსებული პროგრამები. გარდა ამისა, როგორც დუალური პროგრამის შემთხვევაში, ისე „ძრავის შეკეთების" პროგრამაზე, დირექტორის მიერ შერჩეულ იქნა კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებთანაც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები დირექტორის ბრძანებით.

2023 წლის მაისში თეგეტა აკადემიამ პირველად გამოაცხადა მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ძრავის შეკეთება". ამისათვის შედგა ანკეტა-კითხვარი, მიღება გამოცხადდა 15 ადგილზე, განისაზღვრა შერჩევის ეტაპები და მეთოდები, ინფორმაცია განთავსდა ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, შედგა საგამოცდო კომისია და დაიწყო პროცესი. პირველ ეტაპზე აკადემიაში შეირჩა 15 საუკეთესო კანდიდატი, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებამდე ორმა განაცხადა უარი სწავლის გაგრძელებაზე, ორივე შემთხვევაში წარმოდგენილ იქნა პირადი განცხადება. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიას ჰქონდა ორი ვაკანტური ადგილი, გამოვაცხადეთ მეორადი მიღება იგივე პრინციპი. მეორადი მიღების შედეგად, აკადემიის სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 15-მა აპლიკანტმა და 15 ნოემბერს შეუფერხებლად დაიწყო სასწავლო პროცესი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკადემიაში უზრუნველყოფილია რესურსებით მომარაგება/სარგებლობა, ასევე ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსები დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ამისათვის ჩატარებულია კვლევა და არსებობს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სასწავლო პროცესში აქტიურად იქმნება შეფასების ინსტრუმენტები და გადის სავალდებულო ვალიდაციას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის ტარდება ყველა საჭირო აქტივობა. ერთ შემთხვევაში სწავლება მიმდინარეობს აკადემიის სივრცეში, პროგრამაზე - „ძრავის შეკეთება", რომლის ფარგლებშიც პროფესიული მასწავლებლები აქტიურ რეჟიმში იძლევიან შესაბამისი ცოდნის მიღების საშუალებას, აგროვებენ მტკიცებულებებს და აღრიცხავენ სტუდენტთა ყოველდღიურ დასწრებას. მეორე შემთხვევაში პარტნიორ კომპანიაში მიმდინარეობს დუალური სწავლება პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება". პროგრამის ფარგლებში „თეგეტა რითეილის" მხრიდან გამოიყო შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ცხრა საუკეთესო ინსტრუქტორი, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 13 პროფესიულ სტუდენტთთან, აქტიურ რეჟიმში მოქმედებს ჩანაწერების ჟურნალის წარმოება და ყოველდღიური აღრიცხვა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობს პარტნიორ კომპანიაში, აკადემიამ უზრუნველყო მონიტორინგის მიზნით შესაბამისი პირის გამოყოფა, რათა უხარვეზოდ შესრულდეს ჟურნალების წარმოების პროცესი.

2.3. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი

წლის მანძილზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა გზით შეფასდეს საქმინობების განხორციელების პროცესი. ამ წლის გაზაფხულზე, შემუშავდა ავტორიზაციის შესაბამისი კითხვარები, რომელიც გაეგზავნათ როგორც სტუდენტებს, ისე მასწავლებლებს. კითხვარის მიზანი იყო სხვა პირებისგან შეფასებულ სტანდარტებთან შესაბამისობა. ამისათვის ჩატარდა გამოკითხვა ელექტრონული კითხვარების გზით, თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით. შედეგები კი გაეცნო აკადემიის დირექტორს. გარდა იმისა, თუ რა ხორციელდება და როგორ, მნიშვნელოვანია დაცული იყოს უსაფრთხოების ზომები დაწესებულებაში, რაც სრულად დაცულია, გადამზადებულია პერსონალი, სივრცეში არის განთავსებული საჭირო მანიშნებლები და შექმნილია შტაბი, რომლითაც გადანაწილებულია ფუნქციები.

აკადემიაში მნიშნელოვანია თითოეული სტუდენტის ინტერესი, საჭიროება, მოთხოვნა. შესაბამისად, მათი საჭიროებების შემოწმების მიზნით ამ წელს ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული კვლევა, რომლითაც გამოიკვეთა მოთხოვნები, კმაყოფილება და საჭიროებები. კვლევა ჩატარდა დუალური პროგრამის სტუდენტებთან. ხოლო კვლევა ძრავის შეკეთების პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმება მომავალ წელს. კვლევაში გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შეხვედრა ჩატარდა კარიერის მართვის მენეჯერთან, სადაც ის საკითხები იქნა განხილული, რომელზეც ზოგ შემთხვევაში თავი შეიკავეს, ზოგზეც კი სხვა მხრიდან ამჯობინეს საუბარი, ასევე შეხვედრა ემსახურებოდა კარიერული მიზნებიდან გამომდინარე საკითხებს.

პროგრამებთან დაკავშირებით, სამოქმედო გეგმით განსაზრვრული იყო სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების რელევანტური და ობიექტური სისტემით, დაცული მტკიცებულებები შესაბამისი წესით და საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. ყოველივე ჩამოთვლილზე თამამად უნდა ითქვას, რომ დასახული მიზნები 2023 წელს სრულად შესრულებულია, პროგრამების განხორციელება წლის მანძილზე მიმდინარეობდა გეგმის შესაბამისად.

3.1. ინფრასტუქტურის განახლება, შეკეთება, გაუმჯობესება

2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო ინფრასტრუქტურული საკითხები. იქიდან გამომდინარე, რომ წლის დასაწყისში დაიგეგმა ბათუმის რეორგანიზაციის საკითხი, დღის წესრიგში დადგა რესურსების შეფასება, აღწერა და აშ. მიუხედავად იმისა, რომ წლის მანძილზე სხვადასხვა გზით ხდებოდა რესურსის მოწესრიგება, აღნიშნული საკითხის ოფიციალური შეფასება მოხდა წლის ბოლოს, დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაიწყო პროცესი, თუმცა არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარეობს, პროცესი სრულად დასრულდება 2024 წლის დასაწყისში. ამასთან, თეგეტა აკადემიამ განაახლა რამდენიმე კომპიუტერი, ძველი ჩაანაცვლა ახლით გამართული პროცესის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, აკადემია გამოირჩევა საუკეთესო ინვენტარითა და სხვადასხვა რესურსით.

3.2. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

თეგეტა აკადემიაში უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით თეორიეული და პრაქტიკული სივრცეები. 2023 წელს ჩატარდა ტრენინგი/ინტუქტაჟი როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. სრულად ჩატარდა ონლაინ სასწავლო ტრენინგმოდული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ინდივიდუალურად ყველა პირმა გაიარა

და დასრულების შემდეგ დაადასტურა შესაბამისი პასუხებით. აღნიშნული უზრუნველყო უშუალოდ აკადემიამ, ხოლო ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა აიღო თეგეტა ჰოლდინგის შესაბამისმა სამსახურმა, რომელიც გათვალისწინებულია გენერალური ხელშეკრულებით.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმით აკადემიას გათვალისწინებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება, შტაბის შექმნა და შეთანხმება შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აკადემიამ სრულად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რასაც ადასტურებს შეთანხმებული გეგმითა და სამსახურის წერილით.

4.1. პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარება/ტრენინგი

სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვის მნიშვნელოვანია პროგრამაში ჩართული პირების მუდმივი განვითარება. 2023 წელს აკადემიის მხრიდან დაიგეგმა ტრენინგი ინსტრუქტორებისთვის, რომელიც ჩატარდა სწავლებასთან დაკავშირებით. ტრენინგზე განხილული იყო ის თანამედროვე მიდგომები, გაზიარებულ იქნა რეკომენდაციები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების წარმართვის მიზნით, ტრენინგს უძღვებოდა აკადემიის უშუალო თანამშრომელი. გარდა ამისა, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილი იყო ტრენინგი „სწავლა სწავლების თანამდროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება". აღნიშნული ტრენინგის შესახებ ეცნობათ აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებს და მიიღეს მონაწილეობა ტრენინგში. შესაბამისად, გადაეცათ სერტიფიკატები. ამასთან ამავე წელს საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატისა და პროფესიული უნარების სააგენტოს თანამშრომლობით დაიგეგმა ინსტრუქტორთა მომზადების ტრენინგი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიაწოდა აკადემიამ პარტნიორ კომპანიას, შედეგად გამოიყო ორი ინსტრუქტორი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს აღნიშნული ტრენინგი. გარდა ტრენინგებისა, აკადემიისთვის ახალ პროფესიულ მასწავლებლებთან ჩატარდა კონსულტაციები შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმებისა და ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია აკადემიაში. შესაბამისად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანა შესრულებულია.

4.2. შრომის, ადეკვატური სამუშაო გარემოსა და სახელფასო სამოტივაციო სისტემის შექმნა

მოცემული ამოცანისთვის განისაზღვრა ოთხი კომპონენტი: პირველი გულისხმობდა საჭიროებათა კვლევის ჩატარებას, რომელიც განხორციელდა და გამოვლინდა თანამშრომელტა საჭიროებები, კვლევა ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის მეშვეობით და შემუშავდა კვლევის ანგარიში. დაიგეგმა კვლევაში გამოვლენილი ამოცანების შესრულება.

გარდა ამისა, 2023 წლის სექტემბერში დამტკიცდა განახლებული სტრუქტურა, განახლებული პოზიციებით და დებულება განახლებული სამუშაო აღწერილობებით. განისაზღვრა თითოეული პირის უფლება მოვალეობები, გადანაწილდა ფუნქციები და გამოირიცხა წინა წელს არსებული ინტერესთა კონფლიქტი.

თეგეტა აკადემიაში მოქმედებს KPI სისტემა, რაც გულისხმობს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას პროცენტული მაჩვენებლებით და შესაბამის ფულად წახალისებას. აღნიშნული ემსახურება თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას და საქმიანობების შეფასებას. სისტემა 2023

წელსაც იყო მოქმედი, შეფასება განხორციელდა წელიწადში ორჯერ, წლის დასაწყისში და წლის შუა პერიოდში.

4.3. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა

აკადემიისთვის სტუდენტების უფლებების დაცვა და მათი მოსაზრებების გაზიარება საკმაოდ ნაცნობი სიტუაციაა. აკადემიაში დასაქმებულ თითოეულ წევრთან სტუდენტებს აქვთ უშუალო და დადებითი ურთიერთობა, ეს გამომდინარეობს როგორც დამოკიდებულებებიდან, ისე მცირეკონტიგენტიანი დაწესებულების ხასიათიდან. სტუდენტებისთვის ჩატარდა გაცნობითი ხასიათი ღონისძიება, სადაც გადაეცათ ინფორმაცია ზოგადად დაწესებულების, პროგრამების, საქმიანობების, ისტორიის შესახებ, მათ აკადემიის წარმომადგენელთან (სასწავლო პროცესის სამსახური (კარიერის მართვის მენეჯერი)) ერთად დაათვალიერეს შიდა და გარე სივრცეები, როგორც უშუალოდ აკადემიის, ისე თეგეტა ჰოლდინგის. მოეწყო მინი ექსკურსია სხვადასხვა სერვისების მიმართულებით.

სტუდენტებთან ჩანიშნულ შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული შეფასების სისტემის შესახებ ყველა ინფორმაცია. შეხვედრას უძღვებოდა როგორც სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ისე ხარისხის მართვის მენეჯერი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე პროგრამის სტუდენტები იცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს, აღნიშნული დასტურდება როგორც შეხვედრით, ისე მათი ხელმოწერებით, კერძოდ შიდა მარეგულირებელი აქტების გაცნობაზე დასტურით.

2023 წელს დუალური პროგრამის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ ერთ შემთხვევაში ჩოგბურთის, ხოლო მეორე შემთხვევაში ჭადრაკის ჩემპიონატში, მათ წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძებების შესახებ უწყვეტად მიეწოდებოდათ ინფორმაცია. 2023 წელს განახლა წესი სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ, რომელშიც შევიდა ცვლილება და დაემატა განცხადების წარდგენის შესაძლებლობა, რომლითაც სტუდენტს შეუძლია წარმოადგინოს ამა თუ იმ პროექტში ჩართულობის სურვილი, გეგმა, შესაძლებლობა და ადმინისტრაცია განიხილავს მას.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა უწყვეტად აქვთ სტუდენტებს და პროცესები მიმდინარეობს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში, სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე.

აკადემიაში კარიერის მართვის მენეჯერის მიერ იწარმოება დამსაქმებელთა ბაზა, რომელიც არის განახლებადი და მუდმივად შესაძლებელია მოცემული ბაზიდან დასაქმების შეთავაზებების გაკეთება. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, რადგან მიმდინარე სტუდენტები ჩართულები არიან დუალურ სწავლებაში და გაფორმებულია მათთან შრომითი ხელშეკრულება, თუმცა მათ აქვთ ინფორმაცია, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ კარიერის მართვის მენეჯერს კარიერული მიზნით დახმარებისთვის. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, 11 კურსდამთავრებულიდან 9 ამჟამადაც დასაქმებულია თეგეტა ჰოლდინგში, ხოლო ორი მათგანი აწარმოებს საკუთარ კერძო ბიზნეს.

4.4. თანამშრომელთა განვითარება / კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა

აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარდა კვლევა პერსონალის საჭიროებების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები. თანამშრომლები მივლინებულ იქნნენ სხვადასხვა ქვეყანაში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაესწრნენ დარგის მიმართულებით ტრენინგებს, მიღებული ცოდნა და გამოცდილება კი გაუზიარეს პერსონალს დაბრუნებისთანავე. ადგილზე დაიგეგმა ექსელის ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა როგორც კვალიფიკაციის ამაღლებას, ისე საქმის გამარტივებას აკადემიაში. აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით აკადემიაში არსებობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დამტკიცებული ბრძანებები, ანგარიშები, სერტიფიკატები და ფოტოსურათები.

5.1. თვითშეფასების, რეავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა

აკადემია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ემსახურებოდა კანონმდებლობისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებას, აგროვებდა მტკიცებულებებს და აწარმოებდა თვითშეფასების დოკუმენტს. თუმცა აღმოჩნდა გარკვეული ტიპის ხარვეზები მონიტორინგის დროს, რაზეც ზევით ვისაუბრეთ. არსებული ხარვეზებიდან გამომდინარე, აკადემიამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის წარდგენა და გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დადგენილ დროში.

5.2. არაფორმალური განათლების აღიარება

არაფორმალური განათლების აღიარების კუთხით 2023 წელს მომართვიანობა არ ყოფილა, დაფიქსირდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელიც საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა.

აკადემიამ უზრუნველყო არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილას განთავსება საკუთარ ვებგვერდზე. დაიწერა დეტალურად თუ რას ნიშნავს, რას ემსახურება და რა არის საჭირო არაფორმალური განათლების აღიარებისთვის. მიეთითა საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად, ნებისმიერ პირს შეძლია მომართოს აკადემიას ამ მომსახურების მიღების მიზნით.

5.3. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა

თეგეტა აკადემიაში 2023 წლის აგვისტოში დაინიშნა რეესტრზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც სრულად აიღო ვალდებულება ეზრუნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გამართულობაზე. დღეს პლატფორმაზე ასახულია ყველა საჭირო ინფორმაცია, განახლებადი და ინფორმაციულია მონაცემები, როგორც დაწესებულების, ისე პერსონალის, სტუდენტებისა და პროგრამების შესახებ. თამამად უნდა ითქვას, რომ სისტემა მუშაობს გამართულად და დაინტერესებულ პირს შეუძლია ყველა საჭირო ინფორმაცია მიიღოს ბაზიდან. გარდა ამისა, არსებობს უწყვეტი თანამშრომლობა სისტემისა და აკადემიის წარმომადგენლებს შორის.

5.4. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა

თანამშრომლობა ასოციაციასთან წელსაც ჩვეულ რეჟიმში მოქმედებს, აკადემია უზრუნველყოფს საწევრო გადასახადის გადახდას, ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ ყველა შეხვედრასა თუ ღონისძიებაში. მონაწილეობა მიიღო ათი წლის იუბილეზე ყველა განსაზღვრული პირობის ჩათვლით. დაესწრო ყველა დაორგანიზებულ შეხვედრას. ასოციაციის დირექტორი მოწვეულ იქნა აკადემიის ღონისძიებაზე ელექტუდის სასწავლო პლატფორმასთან დაკავშირებით. წლის მანძილზე ჩატარებული საქმიანი ურთიერთობიდან იკვეთება თანამშრომლობა ორივე მხრიდან.

5.5. პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობა

აქტიურ რეჟიმში ხორციელდებოდა პროფესიულ უნარებთან თანამშრომლობა მთელი წლის განმავლობაში. აკადემიის წარმომადგენლები სააგენტოს მიერ ყველა დაორგანიზებულ შეხვედრას ესწრებოდნენ, ჩართულები იყვნენ ყველა სახის სამუშაო შეხვედრასა თუ ტრენინგში. ამის მაგალითია უნარების კვირეული, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები, ინოვაციურ სწავლების შესახებ და სხვა მრავალი.

აკადემია თანამშრომლობს როგორც არსებული პროგრამების განვითარების, ისე სამომავლოდ მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების მიზნით ასოციაციასთან. ამის მაგალითია გამართული შეხვედრები როგორც ონლაინ, ასევე უშუალოდ უნარების სააგენტოსა თუ აკადემიის სივრცეში. აკადემია მუდმივად იღებს სიახლეებსა თუ რეკომენდაციებს სააგენტოსგან.

5.6. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა ერთ-ერთი უპირველესი მისიაა აკადემიისთვის. აკადემია მუდმივად ჩართულია დაორგანიზებულ აქტივობებში და იზიარებს მიღებულ ინფორმაციებს. მიმდინარე წელს აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი სრულად დაესწრო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხარისხის მენეჯერებისთვის ორგანიზებულ ტრენინგს და მიიღო სერტიფიკატი.

აკადემიამ 2023 წლის დასაწყისში დაგეგმა განცხადებით მიმართვა ცენტრისთვის ბათუმში ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუმცა როგორც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, საჭირო გახდა არსებული გეგმის ცვლილება და სხვა გზით წარმართვა. ცენტრმა სამოქმედო გეგმით დადგენილ თარიღამდე, აკადემიის მიმართვის საფუძველზე, გააუქმა ავტორიზაცია ბათუმში. მანამდე კი ავტორიზაციის საბჭოზე წარდგენილ იქნა თეგეტა აკადემია ჩატარებული მონიტორინგის შედეგებითა თუ შესაბამისი გეგმებით. წლევანდელი წელი გამორჩეული აღმოჩნდა ცენტრთან თანამშრომლობით მონიტორინგიდან გამომდინარეც.

აკადემიამ მაქსიმალურად გაიზიარა ცენტრის მხრიდან მიღებული ყველა სიახლე დაწესებულებაში, შეიმუშავა და შესაბამისი ცვლილებები ასახა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. მთელი წლის მანძილზე ჩართული იყო ყველა სახის ღონისძიება/შეხვედრაში.

6.1. კომპანია თეგეტა რითეილთან თანამშრომლობა

თეგეტა აკადემიასა და თეგეტა რითეილს შორის გაფორმებულია და მოქმედებს მემორანდუმი ავტორიზაციის ვადით, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სასწავლო პროცესი. 2023 წლის მაისში შევიდა ცვლილება პროგრამასთან დაკავშირებით, რაც დადასტურდა ორივე მხრიდან.

2023 წლის სექტემბერში ერთობლივი პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შემუშავდა N416 დადგენილების შესაბამისად. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის კომპანიამ გამოყო ცხრა ინსტრუქტორი და ერთი კოორდინატორი, მათთან გაფორმდა შესაბამისი შეთანხმებები. კომპანიამ გამოყო გარკვეული სახის ანაზღაურება როგორც კოორდინატორისთვის და ინსტრუქტორებისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთაც ხელშეკრულებით განესაზღვრათ მზარდი ხელფასი. აღნიშნული უკავშირდება სწავლის მოტივაციის გაზრდას სტუდენტებში. სტუდენტებს გადაეცათ შესაბამისი აღჭურვილობა (ფორმა: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) სამუშაოს შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორ კომპანიაში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები. დამატებით, სტუდენტებისთვის ჩატარდა ინსტრუქტაჟი, რაც წინა პუნქტებში იყო აღნიშნული.

6.2. ფინანსური მდგრადობა

აკადემიის ფინანსური მენეჯერის მიერ შემუშავდა საპროგნოზო ფინანსური გეგმა, გაიწერა ხარჯები, შემოსავალ-გასავალი, ობიექტურად შეფასდა ფინანსური მდგრადობა და შეთანხმდა აკადემიის დირექტორთან წლის ჭრილში ფინანსური საკითხები.

სამოქმედო გეგმის შუალედურ შეფასებაში დაფიქსირებული რეკომენდაცია მასწავლებლების ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, ძრავის შეკეთების პროგრამის ფარგლებში, სრულად დაკმაყოფილებულია.

7.1.1. სპეცტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამები (შემუშავება და განხორციელება)

თეგეტა აკადემიაში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აღინიშნება სხვადასხვა პროექტების წარმატებით შესრულება. ერთ-ერთი ამის მაგალითია USAID-თან თანამშრომლობით შექმნილი კურსები, რომელიც უკავშირდება სპეცტექნიკის ოპერირებას.

2022 წელს აკადემიამ მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებშიც ფინეთში შეიძენილ იქნა სპეცტექნიკის სიმულატორი, აკადემიის სივრცეში კი 2023 წლის მაისში განთავსდა, რაც ყველასათვის შთამბეჭდავი იყო. შემუშავდა კურსები და დაიწყო არაფორმალური სწავლება, თეგეტა აკადემიამ უზუნველყო დაინტერესებული პირებისთვის კურსების ჩატარება, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება და დადებითი შეფასებები მოჰყვა.

7.2. ონლაინ სასწავლო პლატფორმა - Electude

გარდა ზემოაღნიშნული მიღწევისა, თეგეტა აკადემიამ ასევე USAID-თან თანამშრომლობით დანერგა ონლაინ სასწავლო პლატფორმა - Electude და გახდა საქართველოში ექსკლუზიური წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში ჯამში ითარგმნა 600 მოდული და გადამზადდა თეგეტა ჰოლდინგის ათასამდე თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ თეგეტა აკადემია დამატებითი სასწავლო რესურსის სახით იყენებს ონლაინ სასწავლო პლატფორმას, რომელიც უფრო მეტად გასაგებს ხდის თეორიულ მასალას. ბევრად უფრო მარტივად აღქმადია ყველაფერი ის, რასაც სტუდენტებს პროფესიული მასწავლებლები ასწავლიან, რადგან ციფრულ სივრცეში სტუდენტების წინაშე იშლება/იწყობა ავტომობილი, შეუძლიათ მისი შემადგენელი ნაწილების, აგებულების ნახვა, შესწავლა და შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემა. აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იქნა მომხმარებლის და პაროლის შექმნა პლატფორმაზე როგორც დუალური პროგრამის სტუდენტებისთვის, ისე ახალი ნაკადის პროფესიული სტუდენტებისთვისაც. თეგეტა აკადემია ამ მხრივ არის უკონკურენტო, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებლობა პროფესიული განათლების დაფლებასთან ერთად, საქართველოში მხოლოდ აკადემიის სტუდენტებს ეძლევათ, რაც ძალზედ საამაყოა.

7.2. მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება ბათუმსა და ფოთში

აკადემიის მესამე და უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს ისევ USAID-ის საგრანტო პროექტის ფარგებში და თანამშრომლობით ეს არის მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება ბათუმსა და ფოთში.

2023 წელს დაიწერა პროგრამა, გადანაწილდა ფუნქციები, ვალდებულებები, ფინანსური და მატერიალური რესურსები, მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და წარდგა კონკურსზე, რომელზე მოიპოვა გამარჯვება. 2023 წლის 15 დეკემბერს ოფიციალურად დაისტარტა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ბათუმის ლოკაციისთვის 6 პროგრამის, ხოლო ფოთში 13 პროგრამის შემუშავებას, ფართის მოწყობას, რესურსების მობილიზებას და უფლების მოპოვებას. შესაბამისად, ყველა მნიშვნელოვანი ამოცანა გაწერილია სტრატეგიული გეგმით და წარმოდგენილი იქნება 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 2023 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებს.

ამოცანა	შესრულების მაჩვენებელი პროცენტებში	შეუსრულებლობის მიზეზი
1.1.თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება	95%	
1.2.საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება	80%	
1.3.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	85%	
1.4.IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება	95%	
1.6.მარკეტინგული ღონისძებების განხორციელება	100%	
1.7. საწარმოს სტატუსის მოპოვება	-	აკადემიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რაც აღწერილია დეტალურად ანგარიშში.

		ამოცანის შესრულებამ გადაიწია 2024 წელში.
1.8. შესაბამისობის გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულება	100%	
2.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანამანთლებლო პროგრამები და მათი განხორციელება	100%	
2.2. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება	100%	
2.3. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი	90%	
3.1. ინფრასტუქტურის განახლება, შეკეთება, გაუმჯობესება	60%	სრულად ვერ შესრულდა, დასრულდება 2024 წლის დასაწყისში
3.2. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	100%	
4.1.პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარება/ტრენინგი	90%	
4.2. შრომის, ადეკვატური სამუშაო გარემოსა და სახელფასო სამოტივაციო სისტემის შექმნა	100%	
4.3. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა	90%	
4.4.თანამშრომელთა განვითარება / კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა	90%	
5.1.თვითშეფასების, რეავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა	90%	
5.2. არაფორმალური განათლების აღიარება	-	არ ყოფილა მომართვიანობა 2023 წელს
5.3. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა	100%	
5.4. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა	90%	
5.5. პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობა	100%	
5.6. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ	90%	

ცენტრთან მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა		
6.1. კომპანია თეგეტა რითეილთან თანამშრომლობა	100%	
6.2. ფინანსური მდგრადობა	90%	
7.1.1.სპეცტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამები (შემუშავება და განხორციელება)	100%	
7.2. ონლაინ სასწავლო პლატფორმა - Electude	100%	
7.3.მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება ბათუმსა და ფოთში	100%	

ხარისხის მართვის მენეჯერი:

ხელმოწერა: _____

თარიღი: 20.11.2023.